„პროექტი“

ხელშეკრულება № 147

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჭიათურა 2015 წლის 18 სექტემბერი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთიან მხრივ **ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა“** (მისამართი ჭავჭავაძის ქ. №34) დირექტორი ჯამბულ ვაშაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **გაყიდვების მენეჯერი ლევან ცაგურია** შპს „თბილი სახლი“ (მისამართი ვაჟა-ფშაველას გამზირი №20), შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის №27 კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის“ წყლის გამაცხელებელის საქვაბის სათადარიგო ნაწილების შეძენის, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 საქონლის ჩამონათვალი და კლასიფიკატორის კოდები მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულება თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1200 (ერთიათას ორასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

4.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების საგნად მიჩნეული საქონელი.

4.1.2. მიწოდება განახორციელოს „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

4.1.4. საქონლის მიწოდება განახორციელოს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

4.2.1. დროულად გადარიცხოს თანხები „მიმწოდებლის“ ანგარიშზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად

5. მხარეთა უფლებები

5.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.1.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი, მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე.

5.2. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს

5.2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

6. ანგარიშსწორება

6.1. მხარეთა შორის მოხდება უნაღდო ანგარიშსწორება

6.2. ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

გ) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.

6.3. ანგარიშსწორების ვადაა მიმწოდებლის მიერ საფინანსო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღე.

6.4. ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად.

6.5. თუ „შემსყიდველი“ არ აითვისებს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ მთლიან თანხას, „მიმწოდებელი“ არ განაცხადებს პრეტენზიას დარჩენილი თანხის ანაზღაურებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

7.2. მიწოდებული საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

8. დაუძლეველი პირობები

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი პირობების გარემოების შედეგი.

8.2. „დაუძლეველი პირობები“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. დაუძლეველი პირობების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი პირობების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადაში საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება და ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის იხდის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ს, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში 1400 ლარს.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს, განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესისს დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელი თავისუფლდება ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან და იხდის ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულის 0,1%-ს.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 1 თებერვლამდე.

16. დამატებითი პირობა

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი – „მიმწოდებელთან".

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის N27 კომპლექსური სასპორტო სკოლა"	შპს „თბილი სახლი" **გაყიდვების მენეჯერი: ლევან ცაგურია**
მისამართი: ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ.№37 საიდენტიფიკაციო კოდი 215611602 სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის № GE91BG0000000215086002 ტელ.: 0 479 251327; +995 595 78 43 79	მისამართი: თბილისი ვაჯა-ფშაველას გამზირი N20 საიდენტიფიკაციო კოდი 204976179 სს „საქართველოს ბანკის" ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის № GE19BG0000000175579101 ტელ.: +995 32 311 525; 311535
ააიპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის N27 კომპლექსური სასპორტო სკოლის" **დირექტორი ჯამბულ ვაშაძე**	**გაყიდვების მენეჯერი:** **ლევან ცაგურია**

	კლასიფიკატორის კოდი	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
	2	3	4	5
1	**42111000 -**	ძრავები	ცალი	
1		- გამათბობელი მოწყობილობები	ცალი	
2	39715200			
3				

დირექტორი: ჯამბულ ვაშაძე

გაყიდვების მენეჯერი: ლევან ცაგურია

GEORGIA. CASA CALDA. Ltd
204976179